საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 2550 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

ბესიკ ამირანაშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27[1] მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს **ბესიკ ამირანაშვილი** საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულად.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბესიკ ამირანაშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის -

გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 აგვისტოს №1655 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 17 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**